სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

44288434042525

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N251710396

რეგისტრაციის თარიღი

16.12.2025 წ

ნოტარიუსი: ნარგიზა ჯანხოთელი
მისამართი: თბილისი რუსთაველის გამზ. 18
ტელეფონი: 032 2 990506

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ქ. თბილისი, **ორი ათას ოცდახუთი წლის თექვსმეტი დეკემბერი.** ჩემთან, საქართველოს ნოტარიუს ნარგიზა ჯანხოთელთან, სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №18, გამოცხადდა **შპს „გრანდე ჯგუფი“-ს** (რეგისტრირებული 26.04.2018 წელს, იურ. მის.: ქ. თბილისი, კრწანისის შესახვევი N17; ქ. თბილისი, კრწანისის შესახვევი N17; ქ. თბილისი, შესახვევი კრწანისი N 17 (ნაკვ.12/59); ქ. თბილისი, შესახვევი კრწანისი N 17 (ნაკვ.12/60); ქ. თბილისი, შესახვევი კრწანისი N 17 (ნაკვ.12/61), ს/ნ 404557127) დირექტორი **გოჩა ჯომიდავა** (დაბადებული 22.04.1967 წელს, რეგ. მისამართი: გულრიფში, სოფ. მერხეული; გაცხ. მისამართი: თბილისი, დაბა წყნეთი, „ა“ ზონა, კორპ. 21, ბინა 3, პ/ნ 62004001410). მან განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლის საფუძველზეც უფლებამოსილებას მიანიჭებს **ვახტანგ არჩვაძეს** (დაბადებული 26.02.1981 წელს, პ/ნ 62001005662) **შპს „გრანდე ჯგუფი“-ს** საქმეების წარმოებაზე. მან მოითხოვა ამასთან დაკავშირებით მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მიმნდობის პირადობა დავადგინე მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, მისი ქმედუნარიანობა შევამოწმე და ვადასტურებ, რომ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. უფლებამოსილება დავადგინე ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის № B25025404. დავადგინე ნების გამოვლენის ნამდვილობა და განვუმარტე მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. შემდეგ შევადგინე მინდობილობა და მიმნდობს წავუკითხე ხმამაღლა. მიმნდობმა თავადაც წაიკითხა მინდობილობა, განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა შემდეგი სახის დოკუმენტს:

მინდობილობა

დღეს, **ორი ათას ოცდახუთი წლის თექვსმეტ დეკემბერს,** მე, **შპს „გრანდე ჯგუფი“-ს** (ს/ნ 404557127) დირექტორი **გოჩა ჯომიდავა** (რეკვიზიტები მითითებულია ზევით), შემდგომში „მიმნდობი“, უფლებამოსილებას ვანიჭებ **ვახტანგ არჩვაძეს** (რეკვიზიტები მითითებულია ზევით), შემდგომში „მინდობილს“, მასზედ, რომ იგი იყოს **შპს „გრანდე ჯგუფი“-ს** წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო, არასახელმწიფო, ადმინისტრაციულ ორგანოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მიმართებაში, მათ შორის იუსტიციის სახლში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სანოტარო ბიუროში, ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებში, მერიაში და მის დაქვემდებარებაში მყოფ ყველა სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში და მის დაქვემდებარებაში არსებულ ნებისმიერ სამსახურში, საზოგადოების კუთვნილ უძრავ ნივთებთან დაკავშირებით, მდებარე მისამართებზე: **ქალაქი თბილისი, კრწანისის II შესახვევი N35, ს/კ N 01.18.06.012.145; ქალაქი თბილისი, კრწანისის შესახვევი N17, ს/კ N 01.18.06.012.146; ს/კ N 01.18.06.012.147; ს/კ N 01.18.06.012.148; ს/კ N 01.18.06.012.149**. დატვირთოს აღნიშნული უძრავი ნივთები სერვიტუტით, გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება, განსაზღვროს ხელშეკრულების პირობები საკუთარი შეხედულებით და ხელი მოაწეროს მას, საჭიროების შემთხვევაში, შეიტანოს ცვლილება ხელშეკრულებაში და/ან გააუქმოს იგი. მიიღოს მშენებლობის ნებართვა, მოამზადოს/შეათანხმოს პროექტები, მოახდინოს პროექტის დამტკიცება/კორექტირება/შეცვლა/გადაკეთება/ვადის გაგრძელება, აწარმოოს აზომვითი სამუშაოები, დააზუსტოს ფართი, წარადგინოს ნახაზები, გამოითხოვოს, მიიღოს, წარადგინოს სათანადო დოკუმენტები, ცნობები, მოწმობები, შეიტანოს განცხადებები, მათ შორის ელექტრონულად, დაარეგისტრიროს/ატვირთოს დოკუმენტები, გადაიხადოს გადასახდელები, ხელი მოაწეროს ჩემი, როგორც საზოგადოების დირექტორის, სახელით და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალებების შესრულებასთან, **უძრავი ნივთების განკარგვის უფლების გარეშე.**

მინდობილობა გაცემულია 2027 წლის 16 დეკემბრის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად; ერთი ინახება სანოტარო არქივში, ორი გადაეცა მიმნდობს.

მინდობილობის ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, ერთვის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის № B25025404.

გადახდილია საზღაური, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის № 507 დადგენილების (რომელშიც შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 30.05.2022 წლის № 272 დადგენილებით) 31-ე მუხლის შესაბამისად, 30.00 ლარი, აგრეთვე დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად, 5.40 ლარი, ასევე სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად, 5.00 ლარი, სულ 40.40 ლარი.

მიმნდობი: გოჩა ჯომიდავა

ნოტარიუსი: ნარგიზა ჯანხოთელი